

რედაქცია

მოლნიის (აბას-აბატის) მედანზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გრეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროაბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირაში სამჯერ

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

ქვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით გაზეთის ფასი

ერთის წლისა — 8 მან.; ნახევარის წლისა — 4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნიის (აბას-აბატის) მედანზე, შორანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრების ადრესი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროაბა“

რედაქციისაბან

ბადიშს ვახდით ზოგიერთ ჩვენ ხელის-მოწერლებთან, რომელთაც ამ წლის პირველი ნომრების გაგზავნა ცოტა არ იყოს დაუგვიანეთ. ღღის შემდეგ ჩვენ ახალი თადარიგითა და (წესით გაზეთის ექსპედიციის საშუალებით) ვაგზავნით „დროებასა“ და იმედი გვაქვს, რომ ჩვეულებრივ საჩივარს, განსაკუთრებით ჩვენი უფლის ქალაქებიდან და სოფლებიდან, რომ გაზეთი თავის დროზე არ მოგვდისო, აღარ გავიგონებთ.

სამართველო

თავი თავს უნდა ჰგავდეს.

ამას წინათ „დროებაში“ ერთი ჩემი სტატია დაიბეჭდა შემდეგის სათაურით: „ლუკმა გაფარდეს, ჯამში ჩაფარდეს“. ამ სტატიით ჩვენ იმას ვამტკიცებდით, რომ, თუ კი ჩვენ, ქართველები, ჩვენის დაუდევრობითა და მოუხერხებლობით დავკარგეთ რამეს, უმჯობესია, ის დანაკარგი ისევ ჩვენმა მოძმეებმა სომხებმა ჩაიგდონ ხელში და არა უცხოებმა მეთქი, და იმას კი არა თუ მაინც და მაინც სომხებმა ხელფენი შეგვიკრან საძრობას ნულარ მოგვეცემენ და ლუკმა პირიდან გამოგვეცილონ ხოლმე თქო. მაგრამ, ჩვენ და საუბედუროდ. ეს უკანასკნელი მოქმედება სომხებისაგან თან და-თან იჩენს თავს და თავსას არ იშლის. — ი დალოცვილი სომხები, როცა მათის მოსახდენია, ყოველთვის ძმობა-ერთობაზედ ჰყვირიან და როცა აღარ ეჭირვებათ, მაშინ კი ბატონობაზედ ხელს არ იღებენ.

ჩვენ და სამწუხაროდ, ამ ჰაზრამდინ მიგვიყვანა ჩვენ ქალაქის გამგეობამ, რომელიც იგივე სომხობაა.

ღარწმუნებული უნდა იყოს ყველა, რომ ქართველს, გენიოსს რომ

იყოს, მაინც არ ეღირსება თფილისში გამგეობის მოთაფობა. მართალია, იშვიათათ ქართველებაც გამოერევიან ხოლმე გამგეობაში წვერებათ, მაგრამ იმათი ხმა ისე იკარგება საზოგადო სომხების უმრავლესობაში, როგორც წმინდა წვეთი ტბაში. და ან კი რა გვეთქმის ამაზედ, მაშინ როდესაც თფილისის ისეთი სატახტო ქალაქია სომხების, როგორც ბერდიჩევი ურიების. რასაკვირველია, სომხები ერთმანერთში პირაკურულნი იქნებიან და შაზაზი პოლოსას მისცემს ხელს, პოლოზა ძარაპეტას, ძარაპეტა არუთინას და სხვ...

ამაზედ ჩვენ ველარას ვიტყით, მაგრამ ამის ნება კი გვაქვს, რომ ქალაქის გამგეობას შევნიშნოთ ხოლმე მისთანა განკარგულებები, რომელნიც საზოგადოთ ჩვენი დამჩაგრელნი იქნებიან. ამისთანაები საქაოდ სჩანან, მაგრამ ჩვენ დავითმენთ, სანამ კი შეიძლება, ყველას, გარდა ერთისა და ის ერთი კი ისეთი მძიმეა ჩვენთვის, რომ ხმის ამოუღებლობა აღარ შეგვიძლიან!..

ჩვენ ვამბობთ იმ იჯარის თაობაზედ, რომელიც ქალაქის განგეობამ მიანდო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს (ზ) უ. ბურგენბეგოვს და რომლის ძალითაც საწყალ იმერლებსა და მუშა ქართლებს უწყალოდ ჰგლეჯენ. წარსულ წელს გაზეთებმა „დროება“ და „თფილისის მოამბე“ ბევრჯელ მიაქციეს ქალაქის გამგეობის ყურადღება, მაგრამ გამგეობას ყურბი არ გაუბარტყუნებია და მოიჯარებები თავისას არ იშლიდენ. ეს მოასწავებს, რომ განგეობა მათი მოქმედების თანა-მგრძნობია, თორემ როგორ არ გასაზღვრა მოიჯარადის უფლება საბრალო მუშების შესახებ? აქ მხოლოდ ქართველების და მოსამსახურე ჩინოვნიკების ინტერესი იჩაგრება, სომხები არასა ჰკარგვენ და ვგონებ მისი მიზეზია, რომ ქალაქის გამგეობა გულ-გრილათ უყურებს ამ აღამადნსურ-საქმეს.

როდესაც გაზეთები ერთხმად გამოაცხადებდენ ამ ამბავს, სომხურ გაზეთებს ხმა არ ამოუღია, და ეს გეაკვირვებს ჩვენ განსაკუთრებით „მშაკის“ მხრით. მაგრამ იმათ უფრო სხვა ინტერესები ჰქონდათ, ეტყობა. — მკითხველებმა უთუოთ იციან, რომ თფილისში, ისე მუშაობა არ შეუძლიანთ იმერლებს და ქართლებს, რომ პირველად თვითო მანეთი არ გადაუხადონ ბურგენბეგოვს!..

ქალაქის გამგეობა იმას უნდა სცდილობდეს, რომ მცხოვრებლების ცხოვრება გაიფოს და მითი რომ მუშა ხალხს, მუშაობისათვის, ჯარიმას ადებს განა არ იცის, რომ დღიურ მუშას

და საზოგადოთ მოსამსახურეებს აძვირებს და ეს მანებელი და საზიანოა როგორც თვითონ მუშებისათვის ისე მცხოვრებლებისათვის, განსაკუთრებით მოსულ ჩინოვნიკებისათვის.

მე, რაკი გამგეობა ასე გაღუწვევითა, ჩვენ ნება აღარ გვაქვს შევშალოთ, მაგრამ ამას ვიხსოვთ, რომ თავის წესდებულება კანონიერ-გზაზედ დაყენოს, იმდენი შეიძლოს, და ის უწყობა ნულარ იქნება, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ: ამდგარან, რამდენიმე სალოდაები, აულიათ თავი და ყაჩაღურად შეიარაღებულნი დაიარებიან თფილისში ქუჩა-ქუჩა თულებით. მაი იმ მუშა ქართლების და იმერლების ბრალი, რომელიც მათ შეხვდება. იქერენ, მათრევენ სადღაც ღვიმეში, რომელსაც კანტორას ეძახიან და სანამ თვითო მანეთს არ წააგლეჯენ, არ უშვებენ.

წარმოიდგინეთ თქვენ საბრალო მუშა, რომელიც შორიდან ჩამოსულა დღიურ მუშათ, რომ ეგებ ერთი ორი გროში იშოვნოს და სახელმწიფო გადასახადი გაისტუმროს; ჩამოსვლისა თანავე ავლებენ ხელს საწყალს. რასაკვირველია, იმას ფული არა აქვს და თულები კი ჩოხასა ხდიან და საუშავეო იარაღს ართმევენ. რაღა დარჩენია, საბრალო მუშას, უფულოს, უიარაღოს და უჩოხოს მის მეთი, რომ ტირილით მიბრუნდეს შინსკენ. — ახლა მოსამსახურების მდგომარეობა ნახეთ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საქმეზედ ვაგზავნილ-მოსამსახურეს იქერენ, არა თუ რამდენიმე საათით, თითქმის თვითო დღით და ამ გვარად მოსამსახურების ალებს ცუდ-გუნებაზედ აყენებენ. მათთვის ერთია აქ დაღვა მოსამსახურეთ, თუ სხვა ქვეყნიდან ჩამოჰყვება ბატონს? მართლა ქალაქათ ჩამოსული, თუ სხვა რამე საქმისათვის ერთი ორი დღით ჩამოსულა, მაგალითად სადმე საქმეში!.. ეს კიდევ არაფერი; ხშირად მისთანა პირებს იქერენ, რომელნიც იმ მდებალ-კლასს, არ ეკუთვნიან, რომლის დაჩაგვრა ადვილია.

ამას წინეთ ერთი იმერელი ახალგაზდა მიდიოდა თავისთვის გზაზედ, დახედენ საღამოს ერთს ქუჩაში ყმაწვილს, სტაცეს ხელი და წაიყვანეს დაქერილი; რასაკვირველია, იმას ავაზაკები ეგონა და როდესაც მხოლოდ ერთს მანეთს დასჯერდენ, სიხარულით მოქუსლან. — აბა, წარმოვიდგინოთ, იმ ყმაწვილის ადგილზედ რომ ვინმესხვა უფრო გულადი ყოფილიყო, ხომ გამოიღებდა ხელს, მოხდებოდა სისხლი! რას იტყოდა მაშინ ქალაქის

გამგეობა? არ ვიცოდით? თუ ყურადღება არ მივაქციე გაზეთებს, თუმც ეს ერთი წელიწადია იძახიანო? მსეც კიდევ არაფერი; ვისაც გაღუხდია ერთი მანეთი, იმასაც თუ მუდამ ჯიბეში არ უძევს კეიტანცია, ხელ-მეორეთ იქერენ.

ერთის სიტყვით, იმერლებისა და ქართლებისათვისა თფილისში აღა-მაჰმადნანობა მობრუნდა სომხური ქალაქის გამგეობისაგან და ერთს წყალობას ვსთხოვთ ამ გამგეობას: ან გზები შეკრას თფილისის გარეთ, რომ ვეღარ შემოვიდეს მუშა ხალხი და ან დაარეგონ მისთანა ბილეთები, რომლის მიკერაც ზურგზედ შეეძლოსთ იმერლებსა და ქართლებს, სანამ თფილისში იქნებიან, შემდეგის სიტყვებით:

„რადგანს ქართველად დავბადებულვარ, ნება არ მქონდა უჯარიმოთ თფილისის შუკაზედ სიარულისა, მაგრამ მანეთი გადახდელი მამხს და ნულა დამიპირთ.“

დღიური

□ ძვეკასიის სამეურნეო საზოგადოების განკარგულებით, ამ მოკლე ხანში რამდენიმე აგრონომი გაიგზავნება სხვა და სხვა საქართველოს მხარეებში. ამათი დანიშნულება ის არის, რომ სტატისტიკური ცნობები მოკრიფონ იმაზე, თუ რომელს მხარეში რომელი მიწის ნაყოფი ანუ ნამუშავეარი და საზოგადოთ სამეურნეო წარმოება უფროა გავრცელებული, რომელ მემამულეს რამდენი სახნავ-სათესი ადგილი აქვს, როგორ სამეურნეო იარაღებს ხმარობს, როგორი და რამდენი პირუტყვი ჰყავს და სხვა ამ გვარები.

მარწმუნებთ ჩვენს მამულის მეპატრონეებს, რომ მხოლოდ ეს სამეურნეო ცნობების შეკრებაა ამათი გაგზავნის ნამდვილი მიზეზი და არა სხვა რამე ისეთი, რომელიც ჩვენი მემამულეებისათვის რაშიმე საფრთხილო ან საეჭვო იყოს.

□ გამოცხადებისა დაგვარად, უფ. ანდრეას არწრუნიმ კვირა დილას თფილისის ქრების ზალაში წაიკითხა ლექცია „მოგიროზე“.

თუ მივიღებთ მხედველობაში სპეციალურს საგანს, რომელზედაც ლექციის მკითხველი ლაპარაკობდა, მსმენელი საქმაოთ შეიკრიბნენ.

ზანსაკუთრებით საინტერესო იყო ყველასთვის გაეგონათ, თუ რას იტყოდა უფ. ლექტორი ძვეკასიის (დალესტინის) გოგიროზე და იმაზე თუ იმის შემუშავებას რა მნიშვნელობა

უნდა ექნეს ჩვენი ქვეყნის წარმოებაზედა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საინტერესო საგნებზედ უფ. არწრუნნიმ ყველაზე უფრო ნაკლებად და მკრთალად ილაპარაკა. შოველს შემთხვევაში დარწმუნებული ვართ, ყველა-სთვის თუ არა, ზოგიერთისთვის მაინც ლექციას უსარგებლობთ არ ჩაუვლია....

□ ბურიილამ გვაცნობებენ, რომ იქაურ სამღვდლო წოდების პირებს ძალიან უძნელებენ სხვაგან საცხოვრებელი ბილეთის აღებასა. მრთს შემთხვევას გვაცნობებენ, რომლი-დამაც ვტყობულობთ, რომ ვილაც მღვდლის შვილს მთელისში წამო-სვლა უნდაოდა და ბილეთისათვის ბლალოჩინმა ჯერ ხუთმეტი მანეთი სთხოვაო, მერე თუბანო. ამ გარე-მოებაზე ვისიც რიგია, იმის ყურად-ღებას მივაქცევთ.

□ ჩვენ შეეიტყეთ, რომ მთი-ლისის აზნაურობის საადგილ-მამუ-ლო ბანკის გამგებელს, რომელიც ამჟამად ქალაქშია, ჩვენი ბანკის გირა-ოს ფურცლების გასაღებაზე ერთს პე-ტერბურლის საიმედო ბანკთან პირო-ბა შეუკრავს; ამ ბანკს სახელად ჰქვიან „რუსეთის ბანკი გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობისა.“

□ მთილისის ძონტროლის პალა-ტის ჩინოვნიკებს, როგორც „მთ-მომამბეში“ სწერენ, თავის შორის პატარა გამსესხებელ-შემნახველი კას-სა შეუდგენიათ, რომლის დანიშნუ-ლება იქნება, რომ გაჭირების დროს ამხანაგებს ხელი მოუშარათ. აქვე სწერენ, რომ ამ კასის დამწესებლებს ღარიბი წევრების შვილებისათვის ერთი ან რამდენიმე სტიპენდიის და-ნიშვნა და თავის ხარჯით გამოზდა გადაუწყვეტიათ.

□ ბაზეთი „ძავკაზი“ გვაცნობებს, რომ ძავკასიის არხეოლოგიის მო-კვარეთა საზოგადოება იანერის 15 ერთი წლის არსებას იღვსასწაულებს და მალე თავის შრომის პირველ წიგნს გამოცემსო. ამასთანავე, ამ-ბობენ, რომ საზოგადოების ზოგი-ერთ წევრებს განზრახვა აქვთ, რომ რამდენიმე საზოგადო ლექცია წაი-კითხონ ძავკასიის არხეოლოგიაზე.

შეცდომის გასწორება

შუალო რედაქტორი!

452 ნომერში გაზეთის „დროებისა“ არის დაბეჭდილი სამი ფვის ანგარიში მთიანეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა, წაი-ვიკითხე რა ეს ანგარიში, შევნიშნე, რომ შემოსავალ ნაწილში ანგარიშისა გამოკლე-ბულ არის ერთი სტატია შემოსავლისა, ესე იგი „შე მო ტ ა ნ ი ლ ი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო თ ფ უ ლ ი 200 მ ა ნ ე თ ი“, რომლის გამო-სრული ჯამი ანგარიშისა არ ეთანხმება იმ ციფრებსა, რომელიც უნდა იყოს ნამდვილად. აღსასდგენელად ჰემარიტებისა და განსაშო-რებლათ ყოვლის მიუხდომლობისა, უმო-ჩილესად გთხოვთ ეს შეცდომა გამოაცხადოთ

თქვენგან ერთ-ერთს ნომერში თქვენის პატივ-ცემულის გაზეთისა.

მასილ ლოდევი.

11 იანვარს 1875 წელს.

მთიანეთი.

„დროების“ კორექსიონდენსია

ლენხუმი, 2 იანვარს

ახლანდელი ლენხუმის მაზრა თით-ქმის ოცდა ათი ათას მცხოვრებელს შეიცავს. მთელი ლენხუმი მთაგო-რიანი და უსწორ-მასწორი ქვეყანაა, ვაკე ადგილები ძლიერ ცოტაა. მო-სავლისათვის უმეტესი ნაწილი ნია-დავისა კარგია, ასე რომ პური და ლენო კარგი მოდის.

ამ მაზრაში მხოლოდ ერთი პატა-რა ბაზარია, სოფელს ლაილაშს, რომელიც წმესდგება რაოდენიმე დუ-ქნებიდამ და მცხოვრებლებიდამ; იქ-ვე არიან მაზრის და მომრიგებელი მსაჯულის სასამართლოები, მაზრის სასწავლებელი და მათის მოხელეების სადგომი სახლები.

შუთაისილამ ლაილაშამდინ ახლის გზით სამოც ვერსამდის იქნება. ახა-ლის გზის გაკეთებით დიდი ბედნიე-რება მოსვლია საზოგადოთ ლენხუ-მის მაზრას და თითქმის სევანთსაც. მხლა გზები შუთაისილამ არის ნაკე-თები ლაილაშამდის, ლაილაშიდამ თავად მენგრელსკის შურის სასახლე-მდის და იმას იქითაც ცოტა, ასრე რომ დიდის გაფრთხილებით შეიძლე-ბა ფაეტონი მივიდეს. მზის ზედა-მხე-დველი რომ მოინდომებდეს, შეიძ-ლება უმჯობესი გზები გაკეთდეს, მაგრამ სამწუხაროდ გზის კეთება ნელა მიდის ადგილ-ადგილ სამი წე-ლიწადი იყო მიტანილი ქვიშა გზის დასაყარათ, ზოგი ავერ ცხლა მოაყა-რეს და ზოგან ისევე დაუყრელია. სადაც ქვიშა დაუყრელია, წვიმიანო-ბის დროს იმნაირი ტალახი დგება, რომ გავლა კაცს ძლიერ უჭირს.

სავაჭრო ადგილები და სხვა და სხვა ქალაქები საზოგადოთ იქაურს ხალხს დღესაც ეშორებათ და როცა ძველის გზის ამარა იყენნო და ცხე-ნოსანი კაცა ვერ გაივლიდა, რასა-კვირველია, იქაური ხალხისათვის ლე-ხუმიდამ შუთაისს ჩამოსვლა ეხლან დელს პეტერბურლშიდ ჩასვლას ეთა-ნასწორებოდა.

ამის გამო იქ ძველათ ვაჭრობის-თვის დაუწყებიათ წელიწადში ორი დრო: ერთი დაიწყება მაისის შეიდს, გაგრძელდება ათს ანუ თორმეტს დღესა; მეორე სექტემბრის ცამეტს, გაგრძელდება ხანდისხან ოცდა ოთხს რიცხვამდის. ამ ორი იარმუკისათვის ორი სავაჭრო ადგილია დანიშნული: ერთი ლაილაშიდამ მერვე ვერსზედ, ახალ ქალის უბრალო მინდორში, და მეორე საგერის მინდორში. ხალ-ხიც და ვაჭრობიც, საგერის იარმუ-კაზე უფრო მეტი იკრება. ამ დრო-ისათვის იქ მოდიან შუთაისილამ, მდინდამ, ბურიილამ, ჩხარილამ, სა-ჩხერილამ და სხვა და სხვა ადგილე-ბილამ; შემოდის გასასყიდი; ხარი, ძროხა, ცხენი, თხა, ცხვარი და სხ.

რადგან მსურდა იქაური საზოგა-დოების ერთათ ნახვა და ცოტა სა-ვაჭროც მქონდა, მე დავესწარი იქ ამ წელს იარმუკის დაწყების დროს (სექტემბერში). მთავად-აზნაურობის საზოგადოება დიად კარგი და მოსა-წონი არის: ქალსა და კაცს, როგორც სილამაზით, ფერ-ხორციით და სისრუ-ლით, აგრეთვე სიმრთელის მექონს ვერსად ვერ ნახეთ იმოდენს ერთათ, რამოდენსაც ლენხუმის მაზრაში. მღვების ქალები აქ თავის ქრმებს ისრე არ ეწევიან ცხოვრებაში რო-გორც რაქაში.

იარმუკაზე ძალიან ბევრი ქალები იყენენ; ზოგს აქვს ყურძენი კალათ-ში, ზოგს ვაშლი, ზოგს ლენო დო-ქით და ზოგს მოჭყავს თოკით ხბო ანუ ცხვარი.

მაგრამ უმეტესი ნაწილი ქალიც და ვაჭიც დაიარება უსაქმოთ, არც გასასყიდი აქვს და არც არაფერს ყი-დულობს, მხოლოდ მიდი-მოდიან და ამ ორის კვირის განმავლობაში უ-ყურებენ ერთი მეორეს. ხალხში ისეთ ზარმაცს გლენს შეხედები, რომ თა-ვის სიცოცხლეში მგონი პირი ორ-ჯელ არ უნდა დაებანოს, თავის და-ვარცხნა ხომ ლმერთმა შეინახოს, ლეკური ნაბადივით აქვს თავზედ თმა მოთელილი. მღვების ქალები კი ძა-ლიან იზრანჭებიან. მითქმის ყოველ საათში მოურიდებლათ იღებენ ლოყებს, რალაა წითელი საღებავი წამლით, რომელსაც აქ ძრიელ ხმა-რობენ და რომელიც ამ იარმუკაზედ სხვა სავაჭრო ნივთზე უფრო მომე-ტებულად ისყიდება.

მთავად აზნაურობის დანიშნულება ამ იარმუკაში არის მხოლოდ ლხინი, თამაში, ცხენის ქენება და ჯირითი. ამ უსაქმობამ დიდი უსია-მოენება და კინდამ უბედურებაც მო-ახდინა იარმუკაზე. სულ რალაც უ-ბრალო მიზეზის გამო ორ კაცს ჩხუ-ბი მოუვიდათ—ნ—ს ა—სა და თ. ბ. დ—ს. მრევს მოხზრები გამო-უნდა: პირველის მხარე ლენხუმე-ლებმა დაიჭირეს და მეორესი მეგრე-ლებმა და სევანებმა.

რამდენიმე მინუტის გან მავალო ბაში იქით-აქეთ მოხმარე პირებიდამ შესდგა მოხზუბარი ცხენოსანი კაცი თითქმის ორასამდის, პირველად სცემს ერთმანეთს მათრახით თუ ჯოხით და ბოლოს ხანჯლებიც იშიშვლებს. ჯოხებით ბევრს გაუტყდა თავი, ეს კიდევ არაფერია, ისრე არ დაზოგეს ერთმანეთი ლეკურიხა და ხანჯლით, როგორც ცოფიან ძალღს არ დაზო-გავს კაცი.

ეს საშინელი ჩხუბი ათს თუ თუ-თხმეტს მინუტს გაგრზელდა. სანამ ორივე მხრის მოთავეები არ დასჭრეს და არ დაეარდნენ, მანამ ჩხუბი არ შეწყყარებულა.

ძარგი საყურებელი იყო შორილამ, თუ კაცს თავისიანი ვინმე არ ყავდა ჩხუბში, თუ ჯოხები, მათრახები, ხან-ჯლები და ლეკურები როგორ და-ტრიალოდნენ და ლეწა გაუდიოდათ კეთილშობილთ და უკეთილშობილთ ზურგებზე. ძიდევ უკეთუისი საყურე-ბელი ქალების მოქმედება იყო, რა-

მღვების ქრმებიც იყენენ ჩხუბში და მათ თავზე ხედიან მთელი წყალო-კეტების ცემას. ზოგი სიმწარით იხ-დიდა თავსახურავს, ლეჩაქს, თასაკრავს და ჰაერში ისერიდა, ზოგი ჰკიოდა, იწიწნიდა ლოყებს და იგლეჯდა ყველაფერს, და ზოგი ისრე გაშტერ-და, რომ დაგეცალა ზარბაზანი იმის ყურებთან, ვერ გაიგებდა....

ბოლოს როგორც იყო ეს საშინე-ლი ჩხუბი გათავდა და ცხვირ-პირ დამტვრეული ხალხი თავ-თავიანთსა დაბრუნდა.

ს. ლეჭავა

რუსეთი

★ „პეტერბურლის უწყებებში“ იწერებიან, რომ რადგანაც დიდი ყინვები დადგა, ამის გამო მდებსასა, ხერსონსა და ნიკოლაევს შუა ცეც-ხლის გემით მისვლა-მოსვლა მოსპო-ბილიაო.


★ მმართველობისაგან გამოცე-მული ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ 1875 წელს მარტო არაყისა და ლეი-ნის აქციზის შემოსავალი ხაზინას 160 მილიონი მანეთი უნდა ექნეს; ამას გარდა პორტერისა და ლუდი-საგან (პიეოსაგან) კიდევ ორი მი-ლიონი მანეთი.

★ ს. პეტერბურლის ფრანკუზუ-ლი გაზეთი გვაცნობებს, რომ რუ-სეთის გეოგრაფიული საზოგადოების თავ-მჯდომარეს, უფ. სემენოვს, პა-რიჟელ გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტისაგან მისვლია ამბავი, რომ ხალხთა შორის გამოფენა გეო-გრაფიული საგნებისა 3 (15) ივლისს გაიხსნება, პარიჟშიო, და გეოგრაფიუ-ლი კონგრესი კი 20 ივლისს (აგვის-ტოს).

★ შემოხსენებულს გაზეთშივე ი-წერებიან, რომ სტაეროპოლის გუ-ბერნიის ერთს სტანციაში ორს სექ-ტანტს და-ძმას განუცხადებია სურ-ვილი, რომ მართლ-მადიდებელი სარ-წმუნოება უნდა მივიღოთო. იქაური მღვდელი, რასაკვირველია, სიხარუ-ლით დათანხმებულა. დანიშნულ კვირას წასულან ეკლესიაში მოსა-ნათლავად. მაგრამ ამ დროს იმათ სხვა სექტანტები დასხმიათ თავზე, შექნილა ეკლესიაში ერთი ყვირილი, ჩხუბი და, როგორც ამბობენ, თეი-თონმღვდელი და იქ დამსწრე მართლ-მადიდებელნი გაუბატურებიათ.

უცხო ქვეყნები

საშრანგეთი. იანვრის 9-ს (28 დეკ.) ნაციონალურ ძრებაში დებუ-ტატებს მთელი სხდომის განმავლო-ბაში მარტო სამინისტროს კრიზისზე ჰქონდათ მასლაათი. ლეჭემას ჯერ არ მოუტანია ამბავი — გათავდა საფ-რანგეთში ეს სამინისტროს კრიზისი, ე. ი. შეადგინეს ახალი სამინისტრო, თუ არა. ამავე სხდომაზე დებუტატების ყუ-რადლება ცოტაოდნათ ზოგიერთ ლეგიტიმისტების წინადადებას მიუქ-



ცეცია, რომლითაც თხოულობდნენ, რომ კერა დღეს არაგის არ გაეხდენა მუშაობა. მართა მონარხიელმა დეპუტატმა, სხვათა შორის, სტეფანოვი, რომ „გული მიკედება, როდესაც პარიზის ქუჩებში ვხედავ, რომ კერას ქვებს ანტერევენო“... ბაბეტას და საზოგადოთ მარცხენა მხარეს ჰსურდა თურმე, რომ კრებას ამ წინადადებებზე მოლაპარაკება არ ჰქონოდათ და განუხილავთ დაებრუნებინათ უკან წარმომდგენლებსათვის; მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით ცალკე კამისიას გადასცა ის განსახილველად.

გერმანია. შობის დღესასწაულები გაუთავდა ბერმანის პარლამენტს (რეიხსტაგს) და ამ ჟამად იმის სხდომები ხელახლად გახსნილა.

ამ მოკლე ხანში რეიხსტაგმა ბევრი შესანიშნავი კითხვები და კანონები უნდა განიხილოს და სხვათა შორის ერთი ახალი კანონი, რომლის ძალითაც მთელს ბერმანიაში სამოქალაქო ქორწინება უნდა დაწესდეს.

იტალია. ბარიბალდის უფროსს ვაჟს — მენოტის — ერთს ამომრჩევლების სხდომაზე გამოუცხადებია, რომ მამა ჩემი ამ იანერის პირველს რიცხვში რომში მოვაო და პარლამენტის გახსნაზე დაესწრებო.

მსპანია. ძასტელარს და ზოგიერთ გამოჩენილ მოთავეებს მსპანიის რესპუბლიკური პარტიებისას მადრიდი მიუტოვებიათ და საფრანგეთში წასულან.

ლობაში ჩვენმა პატარა ქვეყანამ გაულო ამთვენ ძველ მტრებს, თუმეოთხის საუკუნიდამ დაწყებული ამ მხარეს ასე მალლა და მტკიცეთ ეპყრა დროშა ქრისტიანობისათვის ზნეობისა და მიმართულებისა, უპირველესი მიზეზი ამისი იყო და იქნება წმინდა ნინო. მს ჩვენ ქართველებს კარგათ უნდა გვახსოვდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაწილი ჩვენის მხრისა, ოდესმე უკეთესი ენით, სწავლით და ზნეობით, ზემოქართლი ანუ საათაბაგო დაირღვა, დაცა და თითქმის გაქრა, რა კი იმან წმინდა ნინოს დროშა ხელიდამ გაუშვა.

ჩვენ მადრიდელი უნდა ვიყენეთ მამა მკუსტ ღარასი, რომელიც თავისის ბროშურით აღვიძებს ჩვენში ნამდვილს გრძობას და მოვალეობას შესახებ ჩვენის განმანათლებლისა. ღარას ბროშურა ღირს იმათ, რომ გადმოითარგნოს ქართულათ და თვითოველმა ქართველმა იქონიოს. რაც კი ძველს და ახალმწერლებს, საქართველოსას და უცხო ქვეყნებისას უთქვამთ შესანიშნავი წმინდა ნინოს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, ყოველივე ეს ღარას ბროშურაში შემოკრებილია და განხილული.

მომატებული ნაწილი ამ ბროშურისა შეიცავს უ. ღმიტრი ბაქრაძის, ცნობებს, რომლებიც დაბეჭდილი იყო „მნათობში“ 1871 1872 წელს და რომლებიც ღარასთვის ითარგმნა ფრანკო-რუსულათ. ღარა თავის ბროშურაში მადლობით იხსენიებს ბაქრაძეს, რომელსაც შეცთომით უწოდებს Démétrius Sakradse à Tiflis „ღმერთიუს სახრადე ტფილისში“.

როგორი ყურადღება აქვს მამა ღარას მიქცეული თავის ბროშურაში წმინდა ნინოს ცხოვრების წყაროებზე, ეს ცხადათ სჩანს იმისი წინასიტყვობიდან. მოგეყავს შემოკლებით ეს მიმოხილვა. აქედამ დაეინახავთ, რომ იმას თავისი საგანი კარგათ შეუსწავლია.

„საქართველო, მიღწევის სიტყვით, რომელსაც მეროპა ვერ იცნობს, იფარვის რუსეთის მეფის მანტიის ქვეშ თავისის გმირებით და განელილის ბრძოლით, თავისის მშვენიერი ლეგენდებით და წმინდაებით. ის მიატყვეს ყურადღებას თავის ცხოვრებაზე, რომელიც სავსეა კეთილ-შობილურის სამხედრო მოღვაწეობით, ის აძლევს გასაღებას მეცნიერებას. იმის დოკუმენტებზე, იმის გარდამოცემებზე, იმის ისტორიაზე, იმის პოეზიაზე და ლიტერატურაზე ჯერ თითქმის არა იცის რა მეროპამ. საქართველოს ხალხი არის მისუსტებული, და დათრგუნული ძველათვე მტრებისაგან. მაგრამ იმისი ისტორია და ცხოვრება წარმოუდგენს მეცნიერებას მრავალს ღირს-შესანიშნავს და სასარგებლო საგნებს.

„მეცნიერებამ არ უნდა დასტოვოს უყურადღებოთ ის შესანიშნავი საქართველოს ცნობები, რომელნიც შეეხებიან ბაგრატიდების გვარს. ამოცნობებიდამ სჩანს, რომ ეს გვარი ბევრით უძველესია სხვა ქვეყნების სამეფო გვარებზე. ამას ამტკიცებენ სომხეთის მისტორიანი, და უფრო ცხადათ ეს პროტოკოლი საქართველოს მეფეებისა.“ ჩვენ მეფეთ მეფე, ცხებული ღვთის მოწყალებით,

თვით-მპრობელი და დაუმოკიდებელი მფლობელი, ძელ იესესი, ღვთისა, სოლომონისა, ბაგრატიონი, შვიდთა სამეფოთა მექონი და სხ.“ უფრო შესანიშნავია საქართველოს ტომის ძველი აღბეჭდილება, რომელიც შეეხება იმის სასწაულებრივს გაქრისტიანებას. შეველა მწერლები თანახმანი არიან, რომ იბერიის შირსტეს საწმინდოება შემოუტანია ემაწილს ქალწულს. მაშინ, როდესაც რომაა და მიზანტის მწერალნი დაწვრილებით ცნობავენ არ გვაძლევენ იმაზე და თვით იმის სახელიც არ იციან იმათ, მხოლოთ უწოდებენ იმას ტყვედ დედა შირსტიანედ“ სომხეთისა და საქართველოს მოთფრობანი გვიამბობენ დაწვრილებით იმის შთამომავლობას, ცხოვრებას და მოღვაწეობას.

„წმინდა ნინოს ცხოვრება ჩართულია ქართულს სინაქსარში და ის ცნობები იმის ქადაგებაზე, რომელნიც თავ და პირველათვე შეუდგენია აბიათარს, სიღონისა და დედოფალს სალომეს, შეადგენენ თვით ქართლის-ცხოვრების თქმულების საფუძველს. რასაც ქართლის-ცხოვრებაში ჩვენ ვბოულობთ, ყოველივე ნაწარმოებია როგორათაც ყველგან ბერებისა და მღვდლებისაგან. ქართველები ყოველთვის შეიარაღებული იყვნენ და ებრძოდნენ თავის მტრებს ჯერ სპარსებს და მას უკან მაჰმადიანთ თავისუფლებისა და სარწმუნოების დასაცველად და ამ მიზეზის გამო მხოლოდ მე XVIII საუკ. გამოჩნდა ნიკიერი კაცი, რომელმაც შემოკრიბა და შეაერთა მრავალი საქართველოს ისტორიის მასალები, ეს იყო შახტანგ მეფე, რომელმაც მომეტებული ნაწილი მასალები ჰპოვა მცხეთის მონასტერში (abbaye). შეცთომია: მცხეთა არას დროს არ იწოდებოდა მონასტრად იმისმა შვილმა შახუშტომ განაგრძო ქართლის-ცხოვრება და უკანასკნელად დასდო იმ.ს თავისი ხელი.

„ის ისტორია, რომელსაც მეცნიერი ორინტალისტიბი დიდათ აფასებენ, დაწერილია ქართულს ენაზე. ამ შრომაზე მეროპამ 1858 წლამდე არაფერი არა იცოდა რა, ვიდრე უ. ბროსემ განთქმულის სენ-მარტენის მოწაფემ და ქართულს ენაში დხელოვნებულმა არა სთარგმნა ის ფრანკო-რუსულათ პეტერბურღში.

„მარტო საქართველოს სამეფო ქრონიკები არ მოგვითხრობენ ჩვენ წმინდა ნინოს ცხოვრებას.

„სომეხი მოსე შორენელი, რომელიც თავისის ვრცელი ცნობებით და ნიკიურებით ისახლება თავისის ქვეყნის მისტორიების მოთავეთ, ეთანხმება შახუშტს ნინოს გამო. მს კია, რომ ის ნინოს უწოდს ნუნიათ. მოსე სცხოვრებდა, როგორც ვიცით, მეხუთე საუკუნის ნახევარს და იმის მოწმობა წარმოგვიდგენს ღირს მნიშვნელობას, რადგანაც იმას ადვილად შეეძლო შემოეკრიბა მოსამზღვრე მხარის თქმულება ანუ გარდამოცემა.

„ლათინებში ჩვენ ვბოულობთ ძერს რუფინს, რომელიც მიიცვალა 410 წელს. ამ მწერალს, თითქმის თანამედროეს, მიუღია თავისი ცნობები წმინდა ნინოზედ იბერიის ბატონიშვილის ბაკურისაგან, რომელიც იმას გაუცვნია იერუსალიმში. მს ბაკური ყოფილა ემაწილი, როდესაც წმინდა ნინო მოსულა საქართველოში და საკუთარის თვლით უნახავს თავისის ქვეყნის მოქცევა. ბაკური, რუფინის თქმით, მეგვიდრე თურმე ყოფილა იბერიის ტახტისა, მაგრამ შემთხვევას იმისთვის დაბრკოლება მიუტია და ამისათვის ის გასულა საქართველოდამ და იმპერატორს თეოდოსის იმისთვის მიუტია

ჯერ სასახლის მოსამსახურეთ უხუცესობა, მას-უკან პალესტინის მთავრობა. ბაკური უხუცესობა 394 წელს, როდესაც ის თურმე ებრძოდა ბერძენის სპით ტირანს მეგენს.

„რუფინი უმთავრესს შემთხვევებს საქართველოს მოქცევისას გვიამბობს თითქმის ისე, როგორც შახტანგი. მაგრამ იმან არ იცის სახელი წმინდა ნინოსი და უწოდს იმას une captive chrétienne“ ტყვე ქრისტიანი დედა“.

„მესვეი, ამიან მარცელინი, სოკრათი, სოზომანი, ბერონაუსი მხოლოდ იმეორებენ რუფინის სიტყვებს. ჩვენი უმთავრესნი საეკლესიო მწერალნი ფლერი, ბეროლტ-ბერკასტელი, ლენრიონი, რობაშერი აგრეთვე. ჩვენ ახალ-მწერლებსაც მეტი ცნობები არა აქვთ წმინდა ნინოზედ, მხოლოთ მრავალს იმათგანს ბორონიუსის Virgo christiana უთარგმნიათ ცუდათ ასე Sainte Chrétienne, Vierge შემდეგის მაგიერად Une Vierge chrétienne.

„პროტესტანტს მოგზაურს შარდენს თავისს Voyage en Perse, მე-XVII საუკუნის ნახევარს, შემოუტრებია ქართველების თქმულება იბერიის მოქცევაზედ. ის უწოდს ჩვენს წმინდა ნინეს ანუ ნინონე.

„ჩვენს დროს მამა მარტინოვი თავის თხზულებაში Annus ecclesiasticus Graeco-Slavicus, რომელიც ჩართულია ოქტომბრის მე-IX ტომში Acta Sanctorum, რამდენსამე სიტყვას ამბობს წმინდა ნინოზედ და იმის სახელს სწორეთ ხმარობს.

„მამა ბაგარინმა აგრეთვე 1866 წელს რამდენიმე მშვენიერი სტრიქონი შესწირა წმინდა ნინოს და იმის მოციქულებრივს მოქმედებას.

„ამ გვართ იბერიის მოციქული, რომელსაც მეისტორიანი და ბიოგრაფები დასავლეთისინი, რუფინის სიტყვით უწოდებენ La captive chrétienne ანუ შემოკლებით Sainte Chrétienne, სომხეთისა და საქართველოს მწერალთაგან თანახმად სახელწოდებულია წმინდა ნინოთ ანუ ხინოთ... იმითის მოთხრობებიდამ სჩანს, რომ წმინდა ნინო არ ყოფილა არც ტყვე, არც დაბალის შთამომავლობისა, არამედ თავისუფალი და განვითარებულის სახლის შვილი.

„როდესაც ჩვენ, განაგრძობს მკუსტ ღარას, მთელი ორი წელიწადი ვიმყოფებოდით ბოსფორის პირათ, ჩვენ ბევრი დამოკიდებულება გვქონდა ქართველებთან, რომელთაც ზედ-მიწვევით იცოდნენ თავისი ქვეყნის ისტორია; გარდა ამისა ჩვენ პეტერბურღიდან მივიღეთ უ. ბროსესაგან ძველი ქართული მატანები ანუ ქართლის-ცხოვრება და აგრეთვე თბილისიდან უ. ღმიტრიუს სახრადისაგან (ღმიტრი ბაქრაძე) ისტორიული ცნობები; ამ ძირფასის ცნობების შემწეობითაც იმედი მაქვს ადვადგინო ნამდვილი სახელი, შთამომავლობა და მოციქულებრივი მოღვაწეობა იბერიის ქალწულისა, წარმოუდგინო ჩემს მკითხველს ღირს სურათი მთელის ერისა, რომელმაც ქრისტიანობის ცხოველ-მყოფელის გავლენას ქვეშ სრულებით შესცვალა თავისი ცხოვრება და ზნეობა და აგრეთვე უზენო მნიშვნელობა მე-IV საუკუნისა, რომელიც შეადგენს ბრწყინვალე დროს ეკლესიის ისტორიისას“.

შემდეგ ამისა მკუსტ ღარა წარმოგვიდგენს ქართლის ცხოვრებაზე და უ. ბაქრაძის ცნობებზე დაფუძნებულს პოლიტიკურს და სარწმუნოებრივს მდგომარეობას საქართველოსას წმინდა ნინოს მოსელის წინათ, მას-უკან დაგვიხატავს სრულს სურათს

ბიბლიოგრაფია

წმინდა ნინო

მამა მკუსტ ღარასი.

Sainte Nina, communément nommée Sainte Chrétienne. Notice historique par le P. Auguste Daras, de la compagnie de Jésus. Lyon, 1874 *).

მა ბროშურა მვენიერად დაბეჭდილი წასრულს წელს საფრანგეთის ქალაქში ლიონში, შეიცავს 23 ფურცელს ანუ 45 გვერდს. Sainte Nina ანუ Sainte Chrétienne „წმინდა დედა ქრისტიანი“, როგორათაც უწოდებენ საქართველოს განმანათლებელს ძველნი მეროპიის საეკლესიო მწერალნი, დიდს ყურადღებას მიატყვედა თავის თავზე ძველათვე და მიატყვეს აქამომდეც განათლებულ ქვეყნებში. მართლა და ჩვენ ქართველები ისე ღირსეულად არ ვაფასებთ ამ განვითარებულის ქალწულის მაღალ მოღვაწეობას, როგორც აფასებენ მეროპიელინი მწერალნი.

თუ ამთვენი საუკუნოების განმავ-

*) ჩვენ მივიღეთ ღონის-ძიება, რომ რაც კი მეროპიუსს ენებზე საქართველოზე შესანიშნავი რამ გამოვა, უმძველათ ვაგარკვევთ „ღრობაში“. ახლაც რამდენიმე თხზულება გვაქვს ახალი ფრანკო-რუსულს ენაზე ჩვენს მხარეზე და მოკლე ხანში „ღრობის“ მკითხველები წაიკითხვენ იმათზე რედაქციის აზრს და განხილვას.

იმის ცხოვრებისას. როგორათაც ქართული, აგრეთვე უცხო-ქვეყნიური წყაროები მთელს ბროშურაში კეთილ სენიდიანათ არის ნაჩვენები.

მართის სიტყვით, ვიმეორებთ ეს თხზულება შესანიშნავი თხზულებაა და ღირსია, რომ ჩვენმა ლიტერატურამ და საზოგადოებამ იმას ყურადღება მიაქცაოს. ამასთანავე საკვირველია, რომ ეს ბროშურა უცხო-ტომის კაცისაგან უცხო-ენაზე დაწერილი საქართველოზე ასე კრატა შეცდომებით არის დაბეჭდილი.

აი, ეს შეცდომები რაშიმდგომარეობს: გვერდი 12, მეფე საურნაზ (237-162) საუმარგის მაგიერ.

გვ. 14 „აჭარა მდებარებს სამხრეთ-აღმოსავლეთით შავის ზღვისა და ახლა შეადგენს სომხეთის ნაწილს“. აჭარა არას ღროს არ ყოფილა სომხეთის ნაწილი. სჩანს ჩვენი ავტორი შეცდომაში შეუყვანია რომელსამე სომხურს გეოგრაფიას ანუ ატლასს, სადაც არათუ აჭარა, არამედ მთელი ქოროხის ბასსენი აქამომდე სომხეთის მხარეთ ითვლება. ეს სიტყუეა.

იმეფე გვერდზე. „რკინის-ჯაჭვის მთა მდებარებს სომხეთის საზღვარზე“. სიტყუეა აგრეთვე.

გვ. 16 აფხაზეთი არის ჩერქეზეთის მაზრა ჩრდილო-აღმოსავლეთით შავის ზღვისა“. არც ეს არის მართალი. აფხაზეთი სხვა მხარეა, ჩერქეზეთი სხვა.

გვ. 17. „ზონჯარი.“ უნდა იყოს გუჯარი.

გვ. 30. „Mtqvar“ უნდა იყოს Mikvar მტკვარი.

გვ. 31. „სამთავისის მონასტრის ახლო.“ სამთავისის მაგიერ უნდა იყოს სამთავრისა.

გვ. 38. „მთავართ-სანათავე“ მთავართ სანათლის მაგიერ.

გვ. 39. „ჩერქეზები.“ უნდა იყოს მთიულნი.

და რომელშიაც მოყვანილი იყო კორრესპონდენტის სიტყვები, რომ შორაპნის მაზრის გლეხები ზოგიერთი მებატონეებისაგან ანუ უკეთესტკეთ, იმათ მოურაგებისაგან შევიწროებულნი არიანო, ამ შენიშვნის თაობაზე ჩვენ მივიღეთ უფ. შ. ლოლაძისაგან სტატია. ავტორი ამბობს, რომ ყველა, რაც იქ გლეხების შევიწროებაზე არის მოხსენებული, ტყუილი არისო და კორრესპონდენტს გარემოების უცოდნელობით მოსვლია ამგვარი შეცდომებიო.

შესაძლებელია უფ. ლოლაძე მართალი იყოს, მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ სანამ წინააღმდეგი ფაქტები არ ექნება მკითხველს, მანამ უფლება აქვს ეჭვში დარჩეს და იფიქროს, რომ ჩვენი ნაბატონარი მემამულეები, თუ მოახერხებენ, გლეხებს არ ზოგავენო...

მეორე ამგვარივე სტატია(კ) მოგვივიდა იმ შენიშვნის წინააღმდეგ, რომელიც ამწლის „ღროების“ მე-5 ნომერში იყო დაბეჭდილი. უფ. ა. ბ. გვარწმუნებს, რომ ის პირი, რომელზედაც თქვენთვის მოუწერიათ, ვითომც მღვდელი არისო და მუთათისის ბაზარში მსუქან ქათმებსა და გოჭებს ჰყიდისო, სრულებით მღვდელი არ არისო, მთავარ ღიაკონი არისო!

შემდეგ უფ. ა. ბ. ღიდის მჭევრმეტყველებით გვიმტკიცებს, რომ ეს მთავარ-ღიაკონი კარგი, პატიოსანი, მაგრამ ღარიბი და დიდ-ოჯახით შეწყობილი კაცი არისო, რომ შრომა კაცის ღირსებას არ ამცირებსო და სხ., და სხ., და სხე.

ძეთილი და პატიოსანი...

ნარეკვი

ინვრის 5-ს პარიჟში გაყუხნით ახალი მკერა და შიგ წარმოდგენები დაუწყიათ. ყველა უცხო ქვეყნის გზებზე თანახმად ამბობენ, ეს მკერა ერთი საკვირველბათაგანი არის დედა მიწისა თავის სიმშვენიერით, მორთულობით და სიმდიდრითაო. მართი ინგლისელი გაზუთი ამბობს, რომ ამ მკერის შენობის ნახვამ დამარწმუნა იმ ძველს ჭეშმარიტებაში, რომ ფრანკუზებს ყველა სხვა ხალხებზე უკეთესი გემო და შნო აქვთო.

მართს ფრანკუზულ გაზუთში დაბეჭდილია: „ამბობენ, რომ იერუსალიმის ეკკლესიას მხოლოდ ერთი გასაღები ჰქონდა, რომელიც მეფე სოლომონს ეკიდა მუდამ კისერზე ოქროს ძეწკვითაო. ჩვენი ახალი მკერის შენობა ძალიან ნაკლებათ ჰგავს ამ მხრით შემოხსენებულ ეკკლესიას: როგორც შევიტყუთ, არხიტექტორს ბარნიეს 9,742 გასაღები გადაუტია მკერის ღირექტორის ბალანზისთვის!“

გაზუთს „ტიველიანში“ ერთს ახრებულ ამბავს სწერენ: ინვრის 2-ს როდომისლის მომრიგებელ მოსამართლეების სხდომაში განუხილავთ საქმე ერთის ახალგაზდა ქალისა, რომელიც ადგილობრივ მღვდელს უჩივოდა, რომ წმ. აღსარების ღროს, ძუძუებში ხელი მტაცა და გაუპატიურებას მიიჩრებდაო. რამდენიმე მოწმისთვის უკითხავთ და მომეტებული ნაწილის ჩვენებისაგან სასამართლოს მღვდლის გასამტყუნარი დასკვნა გამოუყვანია; და ამის გამო ეს საქმე ამ მღვდლის პირ-და-პირი მთავრობისათვის წარუდგენია განსახილავად.

საპაჭრო

ინვრის 13-ს ძაეკასიის აქეთა მხრის პრიკაზში გაისუიდება ზემო-აეკლაში მდებარე ეენახი ქერივის მკატერინა ღოხინოვისა, იმ ვალში, რომელიც 1862 წელს აულია (2000 მანეთი) პრიკაზიდა. სამი ღდის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იქნება.

1 (3) 15.

ბაქოს პორტის კამანდირი გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ შეშის დაღმა 1875 წლისათვის 379 საქენი მუხის ხისა, რომლიდაც 229 საქენი ბაქოს პორტში ბაილოვში და 150 საქენი ქოანოვოდსკში; ამას გარდა 2100 საქენი რთხმელის ხის შეშა უნდა დაიდგას აგრეთვე ბაქოს პორტში. ვაჭრობა დანიშნულია ბაქოში 21 იანვარს და 25-ს ხელმეორედ ვაჭრობა იქნება. შფრო დაწერილებითი პირობების შეტყობა ბაქოს პორტის სამმართველოში შეიძლება.

1 (3) 16

ანგარიში

ოძისის გამსახეპელ-შემნახველი

ამხანაგობისა 1874 წლისა

დამტკიცებული საზოგადო შეკრებილებისაგან 29 დეკემბერს, 1874 წ. წვერათ ირიცხება ამხანაგობაში 288 კაცი.

ა.) შემოსავალი.

1.) წვერთავან შემოტანილი საწილო

- ფული 1582 მ. 60 კ.
- 2.) სარგებელი დატერილი ფულის გასესხების ღროს 40 მ. 20 კ.
- 3.) სესხები დაბრუნდა მხარე მტყუცემელი 2025 მ. "
- 4.) სასარგებლოდ შემოტანილია კერძო პირისაგან 40 მ. "
- 5.) ამხანაგობამ აიღო ვალად დამფუნებელთაგან 1500 მ. "
- 6.) ამხანაგობამ აიღო ვალად ტფილისის საზოგადოებისაგან საუთიერთო ნდობისა და კერძო პირთაგან 2110 მ. "
- 7.) სარგებელი მიღებული ტფილისის საეჭრო ბანკიდან 14 მ. 72 კ.

სულ შემოსულა 7675 მ. 52 კ.

ბ.) გასავალი

- 1.) ბასესხებულა 6710 მ.
- 2.) სარგებელი დაუბრუნდათ ვალზედ წინ შემოტანილის ნასესხისა 4 მ.
- 3.) სარგებელი მიცემული: სესხებზედ და სასარგებლოდ შემოტანილ ფულზედ 48 მ. 8 კ.
- 4.) შეტანილია ტფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა 150 მ.
- 5.) ტფილისის საზოგადოებამ საურთიერთო ნდობისა გამოგვირიცხა წესდების თანახმად 5 მ. 30 კ.
- 6.) სამმართველოს ხარჯი. 335 მ. 50 კ.

სულ გასულა 7257 მ. 88 1/2 კ.

გ.) ქასსა

- 1.) ნაღდი ფული არის კას-საში 422 მ. 63 1/2 კ.
- ქასსის ჯამი 422 მ. 63 1/2 კ.
- ბასული არის. 7252 მ. 88 1/2 კ.

საფუძველსა ზედა § 52 წმინდა მოგება განაწილებულია:

- 1.) სათადარიგო თანხაში 3 მ. 3 კ.
- 2.) მოგებათ წილებზედ 27 მ. 30 1/2 კ.
- ჯამი 30 მ. 33 1/2 კ.
- 1 იანვარს 1875 წლისა არის:
- 1.) საწილო ფული 1582 მ. 60 "
- 2.) სასარგებლოდ შემოტანილი 40 მ.
- 3.) სესხები:
- ა.) პირველ დაწყებითი 1500 მ.
- ბ.) შემდგომ აღებული 2110 მ.
- 4.) სათადარიგო თანხა 3 მ. 3 კ.
- 5.) წმინდა მოგება 27 მ. 30

ჯამი 5262 მ. 43 კ.
ბასესხებულთი ახალი ვალა მიუცემელი 4685 მ.
ტფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა 155 მ. 30 კ.
ქასსაში არის ნაღდი ფული 392 მ. 30 კ.
ჯამი 5232 მ. 60 კ.

გამგენი მ. ქადაგოვი
გ. ოსუოვი

რძ. გზა.	ღილა.	საღამ.	II კ.	III კ.
მფილისი . . .	8 18	8 17		
მცხეთა	9 18	10	68	38
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18
ბეჟათუბანი .	3 45		4 42	2 46
შვირილა . . .	6 49		5 81	3 23
მუთაისი	7 55		6 75	3 75
სამტრედია . .	9 2		7 73	4 29
ახ.-სენაკი . .	10		8 57	4 76
შოთი	11		9 75	5 42
შოთი	7 38			
ახ.-სენაკი . .	9 11		1 18	66
სამტრედია . .	10 12		2 6	1 14
მუთაისი	11 17		3 4	1 69
შვირილა	12 38		3 98	2 21
ბეჟათუბანი .	3 27	ლაქი	5 33	2 96
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9
მცხეთა	9 52		9 8	5 4
მფილისი . . .	10 49	8 29	9 75	5 42

ცეცხლის გემები			
ა) შოთიდან:			
მღესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.			
სტამბოლს — კვირაობით ღილას.			
ბ) სოხუმიდან:			
შოთს — ოთხშაბათს, დამით.			
მღესას — პარასკევს, გათენებისას			
შოთიდან:			
I	II	III	
სოხუმამდი . .	4	3	1
მერჩამდი . .	20	50	15
ტაგანოვო . . .	34	27	8
მღესსამდი . .	38	30	9
ტელერაში			
მცი სიტყვა მფილისიდან:			
მუთაისს, შოთს	1		
ზორს, ღუშეთს, სიღნახს	50		
როსტოვს მღესას მოსკოვს	2		
პეტერბურგს, პარშავას . . .	3		
მსპალეთში, შვეიცარიაში	3		
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50	
ინგლისში	4		

შოშბა	
ა) მ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	
სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	
— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ. ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ტანეთს — სამშ. და შაბ.	
ბ) მ მ უ თ ა ი ს ი დ ა მ:	
მფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუღდიღს — ოთხშაბ.	
გ) გ ო რ ი დ ა მ.	
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	
დ) შ ო თ ი დ ა მ:	
ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.	
წიგნის გაგზავნარუსეთში:	
ლა წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	10

გირჩა		გაზანდა	
პეტერბურგი, 5 იანვარს.		მფილისი, 10 იანვარს.	
ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 10
ლონდონში 33 1/2 პენსი.		ქერი ფუთი	60
პარიჟში 349 სანტიმი.		ბამბა ქრევისა, ფუთი	5
მსკონტი(სარგებლისფისი)		— ამერიკისა, ფუთი	6 55
ბანკის ბილეთი 5%		ბაპენტლი ბამბა ფთ.	8
მოგებიანი(პირველისესხი)	97 75	მატული თუშური ფთ.	6 40
მოგებიანი (მეორე სესხი)	196	— მარაქამისა ფთ.	4
ბარაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუზური გრ.	2 60
მფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი	4
ხერსონის ბანკის (5 1/2)	84 25	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
მოსკოვის (5%)	80 50	სტეარინის სანთელი, ფ.	10 30
აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
მღესის საეჭრო ბანკის.	242	— ცხვრისა, ლიტრა	70
შოთი-მფილ. რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო	7
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, კარგი ფუთი	8 50
ძაეკაზის და მერკურის	168	— უხვნილი ფუთი	7
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	ქავა გრგვლი ფუთი	19 50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6 50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მკრო 1/2 იმპერიალი	5 93